# სახალხო გაზეთი

№ 453 ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 453

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სხრაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მეორე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ორიჰენის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“, აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ნოემბრისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

☆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ☆

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, 1911 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცნობილი პიესა ბარეტისა **ახალი მოძღვრება** დრ. 4 მოქ. თარგმან. ალ. კანდელაკისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი ერთი-ორად დაკლებულია

ა ნ ო ნ ს ი: შემდეგი წარმოდგენა ნ. დავითაშვილის ბენეფისი: „ღალატი“. მზადდება: ანტიგონა, მსხვერპლნი უგიცობისა და სხვ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

(2—926—2)

### სახაზინო თეატრი

კვირას, 20 ნოემბერს, მოეწყობა „ცოცხალი გვამის“ (Живой трупъ) სალიტერატურო

## გასამართლება

ლ. ნ. ტოლსტოის პიესიდან.

მსაჯულნი (прокуроръ) იქნებიან ბბ. ქალთა უმაღლეს კურსების მაგისტრი პილიპოვი და გიმნაზიის მასწავლებელი როზოვი. დაიცავს ბ. კოზლოვი და არტისტი სოკოლენსკი, უკანასკნელი გამოვა თვითონ პროტასოვის როლში და თავის გასამართლებლად წარმოსთქვამს სიტყვას გასამართლების თავმჯდომ. ბ. პალმოვი.

ნაფიც ვექილებად გამოვლენ ქ-ნი რომანიშვილი, გრაბოვსკაია, ბბ. ყურული, არგუთინსკი-დოლგორუკოვი, კოკჩაევი, ათანასიანი, გულისოვი, დუბროვინი, მგანჯულოვი, კოლუბიაკინი, კროტკოვი, ლებანი, სარქისოვი და დუბანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.

(5—1592—1)

**საგურამოზე** მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყოფა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—177

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა

მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ე. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

ქავთარაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (ტ.—1089 611)

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.17)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—… ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N … სახლი ჯაბამეილისა.

**ექიმი** ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—75

**ექიმი** ნ. ტ. მულინი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (ტ.—1545—27)

**ექიმი მედიცინისა წამლობა ძლექისა** ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (ტ 100—1534—28)

## ნურსად შეუკვეთავთ ფეხსაცმელებს მანამ ა. ს. გირგიდოვის ფეხსაცმელების სავაჭროში არ შეივლით.

1) სასახლის ქუჩა, № 3; 2) განყოფილება: მიხეილის პროსპექტი № 100.

ფირმა 1875 წ.-დან არსებობს.

ყოველ-დღე ვღებულობთ: ლონდონიდან, ვენიდან, ბერლინიდან და საქსონიიდან ყოველ-გვარ ახალ-ახალ სასეზონო საქონელს. ტფილისში ჯერ გაუგონარი მრავალი ფეხსაცმელები მთელ მსოფლიოში განთქმული „ვერნიკ და ამხ.“-სა. მსოფლიოში განთქმული თავის სიმკვიდრით, პეტერბურგის მექანიკურ ქარხნის „სკოროხოდ“-ისა. მოხდენილი და კოხტა ფეხსაცმლები „ძმ. ლისიანსკებისა“—ვენაში, ინგლისურ ქარხნის „ზდოროვიე“-სი (ლონდონში) და სხვა უცხოეთის და რუსულ ფირმებისა.

კალოშები ქვეყანაზე განთქმული „რუსეთ-ამერიკის რეზინულ მანუფაქტურისა“—ტრეუგოლნიკი.

(4—1578—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** (ტ.—1090—215)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყაუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1.

მოსხი—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალომკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხილოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ი. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (ტ.—1526—20)

**ექიმი** ი. მ. მამაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (—37)

## დოქტორი მედიცინისა ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულებების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კირ ოჩნოი ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოლღავრთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (ტ.—1591—45)

**ექიმი** კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. ხწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და ხსვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1558—12)

## ნაფიცი ვექილი

თ-დი ვარლამ ლევანის ძე

## გელოვანი

პეტერბურგიდან ტფილისს გადმოსახლდა და აქ დაბინავდა.

სუდებნი ქუჩა, № 22 (3.1589.3)

**ექიმი** ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს ექიმი გ. ლოლოზერიძე ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—1)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—58)

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზულ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკოდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1367. (100—1117—41)


# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები.

15 ნოემბერი.

გოლდენსკი თავმჯდომარეობს. განსახილველია მაგარ სასმელებზე ბაჟის დადების საკითხი. 104 მუხლი (ნიშ. 3) ეხება სასმელების ფალსიფიკაციას და მისთვის დადებულ სასჯელს, იგი მიიღეს ფინანსთა სამინისტროს რედაქციით. მესამე განყოფილების მესამე მუხლმა, რაიცა საიდუმლოდ ვაჭრობის აღმომჩენთ შეეხება, კამათი გამოიწვია. მუხლის წინააღმდეგია პეტროვსკი, ძიუბინსკი, კროპოტოვი, ჩერკასოვი, მომხრე ეპისკოპოსი მიტროფანე.

ეს მუხლი მიიღეს 111 ხმით 92 წინააღმდეგ.

სათათბირო გადადის მეოთხე მუხლზე, რომელიც ხაზინის დუქნებს უკრძალავს ერთსა და იმავე პირს დღეში ერთ ბოთლ არაყზე მეტი მიჰყიდოს. გაუწერელ გადასახადთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე წინააღმდეგია ამ მუხლისა, არევდარევას შეიტანს და გამყიდველთ უნებურად დაარღვევინებს კანონსაო. წინააღმდეგნი არიან აგრეთვე ტიმოშკინი, სკოროპადსკი, ძიუბინსკი, ნადიგინი, ჩერკასოვი, მომხრეა, ეპისკოპოსი მიტროფანე და შეინგარევი. მუხლი მიიღეს, მაგრამ დროის განუსაზღვრელად: ერთსა და იმავე პირს ორს ბოთლს ერთად არ მიჰყიდიან.

კომისიის რედაქციით მიიღეს მეხუთე მუხლი, რაც, სხვათა შორის, მოითხოვს ბოთლზე პატარა ქაღალდის დაკვრას, სადაც არყის ვნება იქნება აღნიშნული. მთავრობის წარმომადგენელი წინააღმდეგია ამისა, და ამბობს, ლოთობას ეტიკეტებით კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ წიგნითა და ქაღალდებითაო.

რომიანკო თავმჯდომარეობს.

მან სოციალ დემოკრატების მიერ შემოტანილი შეკითხვა დაასახელა. იგი ეხება იმ გარემოებას, რომელიც წარმოიშო მთავრობის მიერ სათათბიროდან სოც.-დემ. ფრაქციის განდევნის მოთხოვნილებით.

კამენსკი. თავმჯდომარემ თავისის უფლებით კრება საიდუმლოდ უნდა გამოაცხადოს, რადგან შეკითხვაში აწერილი ამბავი მეორე სათათბიროს საიდუმლო კრებაზე მოხდაო. (ცენტრი და მემარჯვენენი ამ წინა ადების იწონებენ: „მართალია, მართალი“, იძახიან. მემარცხენენიც ძლიერ ხმაურობენ. თავმჯდომარე მდივნის თანაშემწეს უბრძანებს, შეკითხვის ტექსტი წაიკითხეთო. ხმაურობა არ შეწყდარა. მემარცხენენი ჰყვირიან: „არაფერი ისმის, განგებ ხმაურობენ ალბად“.

შეკითხვა ამბობს, სამხედრო ორგანიზაციის, შეთქმულობისა და დეპუტაციის ისტორია პეტერბურგის დამცველ პოლიციის გამოგონილი იყოო. ამის დასამტკიცებლად დამცველ პოლიციის საიდუმლო თანამშრომლის ბროდსკის ჩვენებაც კმარა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრს ეკითხებიან: იციან თუ არა, რომ პეტერბურგის დამცველ პოლიციის წევრებს სოციალ-დემოკრატთა კომიტეტსა დროებითი სამხედრო ორგანიზაცია დაარსეს და უნდოდათ სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციასთან ურთიერთობა დაემყარებინათ. და ყველა ამან კი საბუთი მისცა მთავრობას ფრაქციის წევრნი სამართალში მიეცა. თუ ყველა ეს იცის მთავრობამ, რა ზომებია მიღებული დამნაშავეთა დასასჯელად და სოც.-დემ. ფრაქციის წევრთა გასამართლებლად.

თავმჯდომარე აცხადებს: რადგან ამ შეკითხვის განხილვის დროს შეუძლებელია არ შევეხოთ იმ გარემოებას, რაც მეორე სათათბიროში საიდუმლო სხდომაზე განიხილეს, წესდების მე-44 მუხლის ძალით სხდომას საიდუმლოდ ვაცხადებო. (ხალხი და პრესის წარმომადგენელნი დარბაზიდან მიდიან).

შემდეგ ლაპარაკობს გეგეჭკორი, რომელსაც პირველს უწერია ხელი. ამისთანა პირობებშიო, ამბობს იგი, სოც.-დემ. თავის დასამცირებლად მიაჩნიათ შეკითხვის განხილვაო (ტაში მარცხნივ, ხმაურობა მარჯვნივ), თქვენაო,—ამბობს გეგეჭკორი,—დაარღვიეთ ღვთისა და კაცის კანონი, დაარღვიეთ 44 მუხლი, ნაკაზი და ყველა ეს მოწმობს, რომ თქვენ საბუთები არა გაქვთ რაიმეს დასამტკიცებლად (ხმაურობა და სიცილი მარჯვნივ). თქვენ ფაქტიურად ვერ უარჰყოფთ ჩვენგან წამოყენებულ ბრალდებას მთავრობისა და მისი აგენტების წინააღმდეგ. დღეს თქვენ საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეთ (მემარჯვენენი იცინიან) და ვფიქრობ, რომ ეს მძიმე ლოდად უნდა დაგაწვეთ სინდისზე. ყველა ხელის მომწერთა სახელით ვაცხადებ, რომ ამ პირობებში შეკითხვის განხილვა მეტად მიგვაჩნია (მემარცხენენი ტაშს უკრავენ). შეკითხვა უკან წაიღეს.

კანონპროექტის განხილვას განაგრძობენ. მცირე და უმნიშვნელო კამათის შემდეგ მუხლები მიიღეს კომისიის რედაქციით.

თავმჯდომარე აცხადებს, 51 წევრმა მთავრობისადმი შეკითხვის განცხადება შემოიტანაო. ეს შეკითხვა თითქმის იგივეა, რაც ეხლა უკან წაიღეს. ამიტომ კრება საიდუმლოდ უნდა გამოვაცხადოო. საიდუმლო კრების ანგარიშის გამოქვეყნება აკრძალულია შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **საქალაქო არჩევნები**, როგორც ვწერდით, 27 ნოემბერსა და 4 დეკემბერს მოხდება. საარჩევნო კრების თავმჯდომარეებად იქმნებიან: პირველსა და მეხუთე საარჩევნო უბნებში ა. ი. ხატისოვი, მეორე უბანში—ხმოსანი მ. ვ. ლუნკევიჩი, მესამეში—თავ. გ. მ. თუმანოვი, მეოთხეში—მ. ნ. ვესელოვზოროვი, მეექვსეში—გ. ი. ბარტი და მეშვიდეში—ნ. ნ. ოსტროგორსკი.

◆ **ფულით დახმარება.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა წელიწადში 900 მან. შემწეობა დაუნიშნა ფრინველების მოაშენებელ საზოგადოებას, რომელიც მიმდინარე წლის მარტში ტფილისში დაარსდა.

◆ **ტფილისიდან დიღომში წყალი.** სახელმწიფო კომისიამ შესაძლებლად იცნო მტკვრიდან წყლის გაყვანა დიღომის ველის მოსარწყავად და მომავალ კვირას სოფლელთა ყრილობას იწვევს ხუთის რწმუნებულის ასარჩევად, რომელიც მთავრობის წინაშე შესაფერს შუამდგომლობას აღძრავენ.

◆ **უხვი შეწირულება.** როგორც მკითხველებმა იციან, ქალა-

ქის თვით-მმართველობამ ბავშვთა საავადმყოფო ააშენა ცნობილ ქველ-მოქმედების ძმ. ზუბალაშვილების მიერ შეწირულ ფულით. ძმ. ზუბა-ლიშვილებმა ახლა ქალაქის მოუ რავს ა. ი. ხატისოვს აცნობეს, სა-ავადმყოფოს მოწყობასაც ჩვენა ვკისრულობთო, რაიც დაჯდება 100,000 მანეთამდე.

◆ **სპარსეთის გენერალურ ელ-ჩად** ტფილისში დაინიშნა საიდ-ულ-ვეზარე.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალა-ტის პროკურორის ამხანაგი კუ-დრიავცევი** ზაქომ ოლქის სასამართ-ლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა.

◆ **„ნაკადული“**. რედაქციამ მი-იღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკა-დული“-ს ნოემბრის (21) ნომე რი (მცირეწლოვანთათვის). ჩვეულე-ბრივ მოთხრობებისა და ლექსების გარდა ჟურნალში მოთავსებულია ნ. ნ—ის წერილი: „ნიკოლოზ ზე-ბედეს ძე ცხვედაძე“.

◆ **ქალის მოკვლა.** 15 ნოემ-ბერს, შუადამისას, ელისაბედის ქუ-ჩის მეეზოვემ სედრაკ კახინოვმა პო-ლიციას განუცხადა, დუნდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე მოკლულის ქა-ლის გვამი გდიაო. მეთორმეტე უბნის ბოქაული გაემგზავრა დასახელებულ ადგილს და დასისხლიანებული, ყელ-გამოჭრილი ქალი ჰნახა. გამოძიებამ შემდეგი აღმოაჩინა: მოკლული ქა-ლი ცოლი ყოფილა ლომოვისა, სახელად პროსკოფია რქმევია და დიდუბის ქუჩაზე (სახლი № 23) ჰქონია ბინა. მკვლელობის წინად ქალს ჩხუბი ჰქონია თავის საყვა-რელ ალექსი ბერეჟენკოსთან, რის გამოც სახლის პატრონი საპოლი-ციო უბნის ზედამხედველი მოუწვე-ვია და ორივე პოლიციაში გა-უგზავნია საღამოს 10 საათზე. პო-ლიციიდან ისინი ორ საათის შემ-დეგ გამოუშვიათ. ამის შემდეგ ქა-ლი მოკლული ნახეს. მკვლელობას აბრალებენ ბერეჟენკოს, რომელიც დააპატიმრეს.

◆ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწეთ** და-ინიშნა ხარკოვის ფოსტა-ტელეგრა-ფის ოლქის სამმართველოს მთავარი მექანიკი კორეევო.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ახალ-მა ჯგუფმა ოთხის კაცისაგან კომი-სია აირჩია, რომელსაც დაევალა შესაფერი საარჩევნო დარიგება მი-სცენ მე-9, 10 და 12 უბნის ამო-მრჩეველთ. კომისიაში შედიან: იო-სებ დიმიტრის ძე მაკედონსკი, ან-დრია გიორგის ძე ბებურიშვილი, ნიკოლოზ ოსკანის ძე აბრამიანი და ტიგრან გიორგის ძე ტერ-გევონდია-ნი.

◆ **მაჰმადიანთა დღესასწაული „ყურბან ბაირამი“** დღეიდან იწყე-ბა. დღესასწაული დღესა და 18 და 19 ნოემბერს იქნება.

◆ **ზუბალაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს** შენობა გუშინ ქალაქის თვით-მმართველო-ბისა და ძმ. ზუბალაშვილის წარ-მომადგენლებმა დაათვალიერეს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ხარჯი დასჭირდება საავადმყოფოის სრულ მოწყობას.

◆ **წვრილ კრედიტის ხამმართ-ველო.** დუშეთის მცხოვრებნი სთხო-ვენ წვრილ კრედიტის ამხანაგობის დაარსებას.

◆ დეპეშათა სააგენტო იუწყება: 17 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტი განიხილავს წინადადებას, რის ძალითაც **ინგლი-სელს სტუარტს** კავკასიაში შეუ-ვაჭრებლად სახაზინო მიწა უნდა დაეთმოს იჯარით. სტუარტმა ამ მი-წაზე საჰიდრო-ელექტრონო სადგუ-რი უნდა ააგოს.

◆ „რუსკოე სლოვო“ იუწყება: საქართველოს ეგზარხოსმა, **არქი-ეპისკოპოსმა ინოკენტიმ,** სინოდს განსახილველად წარუდგინა კანონ-პროექტი რითაც საეგზარხოსოში სამღვდელო პირთა საარჩევნო ინ სტიტუტი უნდა მოისპოს. ეს ინს-ტიტუტი დაარსებული იყო 1905 წელს მოკლულ ეგზარხოსის ნიკო-ნის რჩევისამებრ.

◆ **ანდ. კლდიაშვილის** მიერ გამოგონილ ახალ აეროპლანის მო დელი, რომელიც აქამომდე „ქარ-თულ კლუბის“ სამკითხველოში იყო გამოფენილი, გუშინ სამხედრო შტა-ბის დარბაზში გადაიტანეს. აქ მას განიხილავს „სამხედრო აეროკლუ-ბის წრე“, საოლქო სამხედრო შტა-ბის გენერალ კარპოვის თავმჯდო-მარეობით. თუ სპეციალისტთა კო-მისიამ ბ-ნ კლდიაშვილის აეროპლა-ნი მოიწონა, მაშინ თავის მარივაც თანხას გადასდებს ნამდვილ აერო-პლანის დასამზადებლათ და საცდე-ლათ.

◆ 15 ნოემბერს ტფილისში 76 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ხემიონოვის ქუჩაზე (სახლი № 1) ცეცხლი გაუჩდა სამრეცხაოს. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი 1500 მან. სახლი დაზღვეულია „როსსიის“ საზოგადო-ებაში.

◆ ტფილისში უეცრად გარდაიცვალა კირილე მქვთიმეს ძე კოზლოვი.

◆ მიხეილ. ქუჩაზე მცხოვრებმა სევერია-ნე მეძმარიაშვილმა პოლიციას განუცხადა: ჩემმა საყვარელმა ლუბა ჭავჭანიძისამ 90 მანეთის ნივთები მომპარა და ბაქოში გაიქცაო.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი **წერილი:** სოფ. წინარეხის მცხოვ-რებნი ფრიად დაგვაღონა **ნიკ. ზებ. ცხვედაძის** გარდაცვალებამ. ათს ნოემბერს ადგილობრივ ეკლესიაში პანაშვიდი გადავიხადეთ. სკოლის დარბაზში შეკრებილს ხალხს მას-წავლებელმა გადასცა, თუ რა ფას-დაუდებელი ღვაწლი მიუძღვის გან-სვენებულს განსაკუთრებით წინა-რეხელების წინაშე.

ამასთანავე ვწუხვართ, რომ თა-ვის დროზე ვერ გავიგეთ გარდაცვა-ლების და დაკრძალვის დღე, თო-რემ უფრო სხვაგვარი პატივისცემა ეკუთვნოდა ჩვენგან, როგორც ჩვე-ნი სკოლის დამაარსებელს.

მცხოვრებთა მინდობილობით
დათა ხმალაძე.

## სასამართლო.

◆ **ოლქის სასამართლოს სე-სია** დუშეთს გაემგზავრა, სადაც 19 ნოემბრამდე დაჰყოფს.

## ქუთაისი

◆ **ექვსი კაცის ჩამოხრჩობა.** 15 ნოემბერს, გათენებისას ადგი-ლობრივ ციხეში ჩამოახრჩეს სვა-ნიძე, ლორთქიფანიძე, პაიჭაძე, ჭუმბურიძეები (ორი) და არაბიძე, რომელთაც ამას წინად სამხედრო სასამართლომ სიკვდილი გადუწყვი-ტა მერკვილაძის რაზმში მონაწი-ლეობისათვის. საყვარელიძეს ჩამო-ღრჩობა კატორღად შეუცვალეს.

## ქუთაისის ვითარება

კრიტიკა ადვილი საქმეა, ამბობს ფრანგული ანდაზა და საქმის კეთება კი ძნელი. იქნება ეს ანდაზა არავისზე ისე არ იყოს გამოჭრილი, როგორც ჩვენზე. რაც უნდა დავიწყოთ, რაც უნდა გავაკეთოთ, უთუოთ აღმო-ჩნდებიან კრიტიკანები, რომლებიც გამხნევების ნაცვლათ ცეცხლზე წყალს დაგისხამენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. კერ-ძოთ ეს ლაპარაკი ჩამოვაგდე აქაურ ქართულ დრამატიულ საზოგადო-ების დამხმარე კომისიის მოქმედების შესახებ. ეს კომისია ექიმ ხერინო-ვის მეთაურობით, როგორც მკი-თხველმაც იცის, არა ჩვეულებრივის ენერგიით მოქმედებს და ამის თვალ-ჩაჩინო შედეგი ის არის, რომ ჯერ-ჯერობით 2—3 კვირის განმავლო-ბაში 2500 მანეთი შეკრიბეს დრ. საზ. ზარალის დასაფარავად. ქუთაი-სში 2500 მანეთის შეკრება საქველ-მოქმედო მიზნისათვის არც ისეთი ადვილია და ამიტომაც მადლობის მეტი რა გვეთქმოდა? როცა ამ კო-მისიამ საკმაოდ ბევრ ხალხს მოუ-ყარა თავი თეატრში და გააცნო თა-ვისი მოქმედების შედეგი და თან დასძინა, რომ 2500 მანეთი პირს არ მოსწმენდს დრ. საზ. ვალსა და კვლავ საჭიროა დახმარება საზოგა-დოების მხრივაო. მაგრამ ჩვენ, პარ-ტერში და ლოჟებში მსხდომნი, ავუ-ხირდით კომისიას—ერთნი ეუბნე-ბოდნენ კომისიას—რა საჭირო იყო მაგისთანა უმნიშვნელო საქმისათვის ჩვენი შეწუხება, როცა ფულის მო-კრება ჩამოვლითაც შეიძლებოდაო; მეორენი უფრო ულმობელნი აღმო-ჩნდნენ—კომისია 20 დღეა მოქმე-დებს და ამ 20 დღეში ორი დღე იმუშავა და 2500 მანეთი შეკრიბაო; დანარჩენი 18 დღეც რომ ემუ-შავათ მეტს სახსარს მოუპოვებდით საზოგადოებასაო. ერთი სიტყვით, მაგიერ საყვედურები გვესმოდა და როცა საქმე ფულის შეტანაზე მიდგა მოლაპარაკენი განზე გადგნენ, და 12—15 კაცმა ძლივს შეიტანა 150 მანეთამდე და კრებაც დაიშალა.

კარგად მესმოდა ბ ნი სვ. ხერინო-ვის გულის წყრომა, როდესაც მან თავის კოლეგებს უსაყვედურა, რომ ასეთი კრების მოწვევა უმიზნო და უნაყოფო ლაპარაკის მეტს არაფერს გამოიწვევდაო. მაგრამ იმედს მაინც ნუ დავკარგავთ და ვიგულისხმოთ, რომ დრ. საზ. დამხმარე კომისია კვლავაც განაგრძობს თავის ნაყო ფიერ მოღვაწეობას.

* *

მტერ-მოყვარე ყველას ჰყავს და არც დრამატიული საზოგადოებაა თავისუფალი ასეთი პირებისაგან, ხოლო ამათ მეთაურად აღმოჩნდა ბ-ნი ვ. ბალანჩივაძე, რომელსაც მთელი უსტარი დაუწერია და მი-ურთმევია დრ. საზ. დამხმარე კო მისიისათვის იმ აზრით, რომ გა-აფრთხილოს იგი და შეკრებილი ფული ეხლანდელ გამგეებს დრამა ტიული საზოგადოებისას არ ჩაუ-გდონ ხელში, ვინაიდან ისინი ფულს გაფლანგავენ იმ ნაირადვე, როგორც წინანდელი ფლანგვით ეხლა დაავა-ლიანეს საზოგადოებაო. ბ-ნი ვასო ბალანჩივაძე დრ. საზ. წევრია; უკა-ნასკნელის გარდა ყველა წლიურ კრებებს დაესწრო, როდესაც ანგა-რიშები მტკიცდებოდა; უკანასკნელ წლიურ კრებას მოხსენდა ბ-ნ ბა-ლანჩივაძის წერილი, რომლის მი-უხედავად კრებამ ერთხმად დაამტკი-ცა დრ. საზ. გამგეობის ანგარიში, რომელიც წინასწარ დაწვრილებით იყო განქექილი და განხილული სა-რევიზიო კომისიის მიერ. სჩანს, ეს არ აკმაყოფილებს ბ-ნ ბალანჩივაძეს; მაშ რა უნდაო?—იკითხავს მკითხვე-ლი. მე რომ მკითხოთ, ბ-ნი ბალან-ჩივაძის მოქმედება, მეტი რომ არა სთქვას კაცმა, გაუგებარია, ხოლო სხვების აზრით ბ-ნ ბალანჩივაძეს ალაპარაკებს ის გარემოება, რომ იგი დასში არ არის მიწვეული. ღმერთმა მშვიდობა მისცეს თუ ეს ასეა.

დავესწარი ბ-ნი ალ. ხატისოვის ლექციას 13 ნოემბერს. ბ-ნი ხატი-სოვი მოვიდა ქუთაისში დრამატიუ-ლი საზოგადოების თხოვნით და ლექციის შემოსავალი ამ საზოგა-დოების საშუალებათა გასაძლიერებ-ლად არის განზრახული. ადვილი გასაგებია, რომ ბ-ნ ხატისოვის ლე-ქციამ მრავალი ხალხი მოიზიდა.— თეატრში, ჭედვა იყო და მრავალი, უბილეთობისა გამო, უკან დაბრუნდა. ლექციის თემა იყო ტოლსტოის „ცოცხალი გვამი“ და „კვდარი სუ-ლები“ ლექტორის ფენომენალურმა ორატორულმა ნიჭმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება, რომელმაც აღტაცებული ტაშის კვრით დაჯილდოვა ბ-ნი ხატისო-ვი. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ხატისოვი, რომ თავისი ლექციით დახმარება გაუწია დრ. საზ. და უფ-რო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენ მეზობელ ერის სომხების თვალ-საჩინო წარმომადგენელმა ამ ლექციით თითქო საფუძველი ჩაუ-ყარა იმ შენობას, რომელიც უნდა აშენდეს სომხებთა და ქართველთა სოლიდარობით. 14 ნოემბერს ქუ-თაისის საზოგადოებამ ბ-ნ ხატისოვს ნადიმი გაუმართა.

## ახალი დრამა

(დასასრული *)

პირველ მოქმედებიდანვე სჩანს ის განხეთქილება, რომელიც შაქროს გო-ნებასა და გრძნობის შორის სწარ-მოებს. გრძნობა არჩილისადმი იზი-დავს, გონება კი ეურჩება. ეს ორმაგი გრძნობა მუდმივ განხეთქილებაში იქ-ნებოდა, მაგრამ კატასტროფამდე მაინც არ მიიყვანდა, არა ჩვეულებრივ შე-მთხვევას რომ არ დაეჩქარებინა პრო-ცესი.

თავად არჩილ დიდიძეს მოძრაობის დროს მოუწვევია პოლიციელები, რომელთაც სოფელი აუკლიათ. თუმ-ცა თვით არჩილს არავითარი სურვი-ლი არა ჰქონია ამნაირად მოჰქცეო-და სოფელს. თავადი არჩილი ერთი იმ მემამულეთაგანია, რომელიც პრინ-ციპიალური დამცველია კერძო საკუ-თრებისა და როგორც ასეთი, არც ანებებს არაფერს უსასყიდლოდ. თუმ-ცა, თვით თავ. არჩილის სიტყვით, გლეხ-კაცებს ყოველნაირ შეღავათს აძლევს და სცდილობს ბედი შეუმსუ-ბუქოს. თავადი არჩილი ამ აწიოკება-ში თავის თავს დამნაშავედ არა სთვლის, სთხოვს შაქროს მივიდეს იმასთან, გაიცნოს საქმე და თითონ დარწმუნ-დეს, რომ აწიოკება მხოლოდ უბრა-ლო შემთხვევაა; მართალია, თავადი არჩილი დამნაშავედ არა სთვლის თა-ვს თავს, მაგრამ სოფელი მაინც მტრულად უცქერის. ჯგუფი [illegible] ლიც წაავგს იმ რაზმელებს, რომელ-ნიც განმანთავისუფლებელ მოძრაო-ბის დროს მოქმედებდნენ ჩვენს სო-ფლებში, გადაუწყვეტია თავ. არჩილ დიდიძეს მოკვლა. შაქრო და მისი ამ-ხანაგები ამ მკვლელობას არ თანა-უგრძნობენ. შაქროს ერთი ამხანაგთა-განი, სიკო, შემთხვევით გაიგებს, რომ ის ჯგუფი, რომელსაც ვიღაც ტატე მეთაურობს, არჩილის მოკვლას აპი-რებს. სიკო ბევრსა სცდილობდა, გა-დაეჯერებინა ტატე, მაგრამ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. მაშინ სიკომ ყველაფერი შაქროს გაუმჟღავნა, თუმ-ცა ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შე-ენახა.

აქედან იწყება შაქროს სულიერი ტანჯვა. მან იცის, რა დროს უნდა მოხდეს მკვლელობა, იცის, სადაც ჩა-საფრდებიან მკვლელები. თავ. არჩილი დით შაქროსთან მივა მოსალაპარაკე-ბლად, გაწყვეტილ მეგობრულ დამო-კიდებულების აღსადგენათ. სხვათა შორის, სწორედ მაშინ სთხოვს მივი-დეს იმასთან იმ საქმის გასაცნობათ, რისთვისაც სოფელი გადაკიდა. შა-ქრო სარგებლობს შემთხვევით და ეუბნება, რომ მას მხოლოდ საღამოს შვიდს საათზე შეუძლიან მასთან მისვ-ლა, სხვა დროს კი—არასოდეს. ამნაი-რის საშუალებით მას სურდა არჩილი სახლში დაეტოვებინა და განსაცდელს გადაერჩინა. არჩილი სწერს, რომ შვიდს საათზე სახლში არ იქნება, რადგანაც თავად-აზნაურთა წინა-მძღოლის ჩამოსვლის გამო, წასვლას აპირებს. შაქრო კატეგორიულად უცხადებს, რომ მას მხოლოდ შვიდს საათზე შეუძლიან არჩილთან მისვლა. არჩილისთვის გაუგებარი ჰხდება შა-ქროს ასეთი კატეგორიული გადა-წყვეტილება, მაგრამ დანამდვილებით მაინც არა ჰპირდება, რომ სწორედ შვიდს საათზე სახლში დარჩება.

როდესაც შაქროს იმედი გადაე-წყდა, თავისი საცოლის ხელით, არჩილ დიდიძეს ნათესავ ქალით, რომელიც თავადის ოჯახში იზრდება, უსახელო წერილსა ჰგზავნის არჩილ-თან და აფრთხილებს. არჩილს ეს წე-რილი უბრალო ხუმრობათ მიაჩნია. შემთხვევით წერილი ხელში ჩაუვარ-დება არჩილის დედას, დარიას, რომე-ლიც მაშინვე ბოქაულს შეატყობი-ნებს ამ ამბავს. ბოქაულიც მივა იმ ადგილას, სადაც ჩასაფრებულები ეგუ-ლება, და ყველას დაიჭერს.

როდესაც შაქრო არჩილთან მივა, ყველაფერს გაიგებს. რა თქმა უნდა, ეს გარემოება უკიდურეს სასოწარკვე-თილებაში ჩააგდებს და შეწუხებული სახლში დაბრუნდება. დარია მტრუ-ლის თვალით უცქერის შაქროს და, სხვათა შორის, ეჭვი იმაზედაც მიაქვს. ლანძღავს შაქროს. ნინო, შაქროს სა-ცოლე, რომელმაც ყველაფერი იცის, ვეღარ მოითმენს და ყველაფერს ეტყვის დარიას. მეორის მხრით, შა-ქროს ამხანაგებიც გაიგებენ ყველა-ფერს. რადგანაც საიდუმლო სიკოს მეტმა არავინ იცოდა, ეჭვს იმაზე მი-იტანენ. სიკოც იძულებული ხდება თავი იმართლოს და ამხანაგებთან



# საფრანგეთ-გერმა-ნიის მორიგება

ვით მამალი ხზვის მამალხა
დამტერდეხ და წაეკიდეხ,
მახ ხეემოხ და თვით იეემოხ
დაჰქოჩროხ და დაეკიდოხ...
დ. გურამიშვილი.

მაროკოს თაობაზე საფრანგეთ-გერმანიის დავა გათავდა,—ისინი მორიგდნენ. საკვირველი კი იყო ამათი საქმე: ერთმანეთს იმას ედა-ვებოდნენ, იმისთვის აპირებდნენ სისხლის ღვრასა და ერთი ვაი-ვაგლახის დაწევას, რაც არც ერთს ეკუთვნოდა და არც მეორესა. მაგ-რამ „განათლებულ“ და „კულტუ-რულ“ ევროპისათვის გასაკვირველი არაფერია და ამიტომაც, მაინცა და მაინც არავის გაჰკვირვებია ეს ამბა-ვი. ან კი რა არის იმ დროს გასა-კვირველი, როცა ერთი ხალხი მეო-რეს ავაზაკურად თავს ესხმის და უპირებს იმის წართმევას, რაც იმისი საკუთრება იყო, სახელით მაინც. რა უნდა გაგიკვირდეს ადამიანს იმ დროს, როცა შენივე მეზობელი ხალხი სცდილობს ასწაპნოს და ჯი-ბეში იკრას რასაც მოიხელთებს, რის აწაპნაც შესაძლებელი იქნება.

როდესაც საფრანგეთ-გერმანიის მორიგების ამბავი გაიგო ერთმა ესპანიურმა გაზეთმა, დასწერა: საფ-რანგეთ-გერმანიის შეთანხმება, რაც მაროკოში ახალ რეჟიმს ამყარებს, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ძალა ყოველთვის მაღლა სდგას უფლებასა და სამართლიანობაზე.

ეს სიტყვები, სამწუხაროდ, მარ-თალია და დიდხანსაც მოგვიხდება მისი გამეორება.

რა იყო, რა მოხდა?

აი, რა. სრული ოთხი თვის წი-ნად საფრანგეთსა და ესპანიას მო-ლაპარაკება ჰქონდათ მაროკოს თაო-ბაზე. საფრანგეთს, ცოტა არ იყოს, საქმე აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა,— ერთი სამინისტრო დაეცა და ახალს ჯერ ფეხი ვერ გამოეჩინა. ამ მოლა-პარაკების დროს გერმანიამ აგადირ-ში, (მაროკოს დასავლეთს მდებარეობს), თავისი გემი გაჰგზავნა. სა-ფრანგეთი შეშფოთდა, შეეკითხა კიდეც გერმანიას: რათ გაჰგზავნე გემი, რამ გაიძულაო? გერმანიამ სწორი პასუხი არ მისცა, ლობე-ყორეს მოედო და ის ლა დაასახელა მიზეზად, გერმანელთა ინტერესები უნდა დავიცვაო. ესეც არ იკმარა, ადგა, გემი უკან დააბრუნა და მაგივრად კრეისერი გაჰგზავნა. საფ-რანგეთი ამას არ მოელოდა. მას მხოლოდ ესპანია ეჩხირებოდა თვალ-ში და დახეთ უბედურებას, მეორე ბევრად ძლიერი მეტოქე აღმოუჩნდა. დაიწყო დავა. ორივე მხარე მიუხვდა ერთმანეთს გულისწადილს და ორი-ვე შეეცადა, მიზანის მოწევას. მო-ლაპარაკებამ პირველად ძალიან ცხარი და ფიცხი ხასიათი მიიღო. ევროპის პოლიტიკური ცა ღრუ-ბლებმა დაჰფარა და დაქუხება-საც აპირებდა. მთელი ქვეყანა და-აინტერესა მაროკოს საკითხმა, რად-გან შესაძლებელი იყო მის გულის-თვის, დღესა თუ ხვალ, ომი ამტყდა-რიყო, ძმას ძმის სისხლი დაეღვარა და ამ სისხლის ღვრას ევროპის საერთო არეულობა მოჰყოლოდა.

მაგრამ გაჩნდა „მეორე მაროკო“ —ტრიპოლი. იტალია ყაჩაღურად დაეცა ოსმალეთს, მისი სისუსტე ისარგებლა. სისხლის ღვრა დაიწყო... ეს ევროპისათვის თითქმის მოუ-ლოდნელი იყო, ყველამ ახალ სა-სენსაციო ამბავს მიაქცია გულის-ყური და მაროკო ერთის წუთით მიივიწყეს. მაგრამ დიპლომატნი მო-ლაპარაკებას განაგრძობდნენ და ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. იყო დრო, როცა საფრანგეთ-გერ-მანიის ომი გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნდათ. თუ მკითხველი გულდას-მით კითხულობდა ჩვენს გაზეთს, ეცოდინება რამაც გამოიწვია ეს მოლაპარაკება, რას წარმოადგენს თვით მაროკო, რა ინტერესებს იქ გერმანიას, ან საფრანგეთს. ამი-ტომ გამეორებას მოვერიდებით და მოკლედ ვიტყვით: თვით მაროკო დიდ სიმდიდრეს არ წარმოადგენს. იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ კარგადა ჰხედავთ რას ნიშნავს ეს „დამოუკიდებლობა“ ჩვენს დროში, როცა ძალა და ძლიერებაა გამეფებული და უფლე-ბას კი ძალიან ნაკლები გასავალი აქვს.

მაროკო საფრანგეთის სამფლო-ბელოს მეზობლად მდებარეობს და როცა დროს ხელთ იგდებს, უექვე-ლია, არ შერცხვება და თავის თათს მოსდებს, თუნდაც „პროტექტორა-ტის“ სახით. მეორის მხრით მარო-კო ჰიბრალტარის სრუტის მოსა-ზღვრედ მდებარეობს და ამ სრუ-ტეს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ევროპისათვის. ეს ერ-თი. მეორე კიდევ ისა, რომლისამე სახელმწიფოს გაძლიერება მაინცა და მაინც არც ძალიან ეჭაშნიკებათ სხვა სახელმწიფოთ, რადგან იგი მათ კეთილდღეობასაც საფრთხეში აგდებს. შემდეგ—საეკონომიო ინტე-რესები,—სად გნებავთ, რომ ევრო-პის კაპიტალს თავისი ბრჭყალები არ გაეშალოს. ეს მისთვის ცოტაა და იგი მაროკოში წასვლას აპირებს, დიდი სიმდიდრე ეგულება, ცხო-ვრება უნდა გააჩაღოს ახალი, მიწა ათასგან უნდა დახვრიტოს და სწო-ვოს სიმდიდრე.

როცა გერმანიამ აგადირს გემი გაჰგზავნა, საფრანგეთს გაუკვირდა კიდეც, გერმანიას რა ესაქმება იქაო, რა ინტერესებსო. ის კი არა, დი-დი და დიდი საეკონომიო ინტერე-სები აღმოუჩნდა იქ გერმანიას.

როგორც იყო საქმე მოგვარდა და მორიგება მოხდა. მაგრამ რო-გორი?

გერმანიისა და საფრანგეთის ახლან-დელ მდგომარეობას რო დააკვირ დეთ, უნებურად დავ. გურამიშვილის ზემოხსენებული ლექსი, მოგაგონდე-ბათ. ვითა მამლებმა ოთხის თვის განმავლობაში ერთმანეთი ჰკორტ-ნეს, ფრთები და ბურტყლი აყრევი-ნეს, დაიღალნენ და მერე შერიგდნენ. ახლა ორივე სდგას თავჩაქინდრუ-ლი, დაღალული, „ნაცემი“ და არ ინძრევა. აღარც პირვანდელი მე-დიდურობაა, აღარც სიმკვირცხლე, აღარც რისიმე სურვილი! შერიგდნენ კი, მაგრამ არც ერთია კმაყოფი-ლი, არც—მეორე, ერთიც მეტს მოელოდა, მეორეცა და ორივე კი მოსტყუვდა. თუმცა სიტყვით ამას უარჰყოფენ, გულის ტკივილს და იდუმალ უკმაყოფილებას ლამაზ ფრაზებში ახვევენ, მაგრამ მაინც ეტყობათ, რომ გულის წადილს ვერ მოეწიონ, ეტყობათ რადაც დარჩათ გამოურკვეველი და უდ-ქველია მომავალშიაც მოუხდე-ბათ ამისთანა „მოლაპარაკების“ გა-მართვა.

მკითხველს ალბათ ეცოდინება ჩრდილოეთ აფრიკის ამბავი. იქ სხვა და სხვა სახელმწიფონი ძრიან მე-ტოქედ და განსაკუთრებით იმაზე თვალი საფრანგეთს ეჭირა. ფრა-ნგებს მაროკოს მოსაზღვრე ალჟი-რი ალჟირი უჭირავთ, ახალ-შენი აქვთ გამართული და მარო-კოც ძალიან დიდ სამსახურს გაუ-წევს. თუნდა ესეც არ ყოფილიყო თუ მაროკოს ძლიერი სახელმწიფო ჩაიგდებდა ხელში, საფრანგეთს მე-ზობლად მტერი გამოუჩნდებოდა და მუდამ შიშში უნდა ყოფილიყო. ეხ-ლა საფრთხე თითქოს მოშორე-ბულია, მაროკოს პროტექტორატი საფრანგეთმა ჩაიბარა და ამის მა-გივრად შუა აფრიკაში გერმანია საკუთარი მიწა-წყალი კონგო უწი-ლადა.

საერთოდ ხელშეკრულებას, ასე-თი საფუძველი დაედვა: საფრანგე-თის მთავრობა მოვალეა მაროკო-ში საეკონომიო საქმეში ეროვნებათ თანასწორობა და თავისუფლება აღი-აროს; განისაზღვრა მაროკოს სახელ-მწიფო ბანკის უფლება და მისი მო-ქმედების ფარგალი. გერმანია აცხა-დებს, რომ მაროკოში საეკონომიო ინტერესები არა აქვს და საფრანგეთ-ის თავისუფალ მოქმედების ნებას აძ-

ერთად შაქროსთან მიდის. შაქრო გამოუტყდება. თავადი არჩილი მადლობის გადასახდელად შაქროსთან მივა, მაგრამ ამ უკანასკნელს არჩილის დანახვა თავ-ზარსა სცემს. სულიერ სიმშვიდეს უკარგავს ის გარემოება, რომ დავალების გრძნობამ გამცემად და მოღალატედაც კი გახადა. უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი არჩილის მოკვლას განიზრახავს, მაგრამ ვერ მოახერხებს. „მონობა ალბად ისე გამიჯდა ძარღვებში, რომ ჩემი მებატონის მოკვლასაც ველარ ვახერხებო", ეს არის უკანასკნელი სიტყვა შაქროსი, რომელმაც ტანჯვას ველარ გაუძლო და თავი მოიკლა.

დრამატიზმი იმ სულიერ განცდაში კი არ გამოიხატება, რომელიც ღალატმა გამოიწვია, არამედ შეგნებამ, რომ მას ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები მონის ფსიხოლოგიაში. ეს შეგნება პირველ მოქმედებაშივე იჩენს თავს, მთელი პიესის დროს ვითარდება, ძლიერდება და ბოლოს კატასტროფამდე აღწევს.

ასეთია ახალი დრამა ბ-ნ ი. გედევანიშვილისა, რომელმაც კვირას დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. უნაკლულო არ არის რა ქვეყანაზე, და არც ეს პიესა შეიძლება ჩაითვალოს უნაკლულოდ. ძალიან სუსტობს პიესა ტეხნიკის მხრით, მაგრამ ეს ისეთი ნაკლია, რომლის გასწორებაც ძალიან ადვილია. მიუხედავად ამისა, პიესა მაინც საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგანაც დაცულია ფსიხოლოგიური და დრამატიული მთლიანობა. განსაკუთრებით საყურადღებოა იგი ჩვენთვის. რადგანაც დრამატიული ხელოვნება ჩვენში ჯერ ისევ განვითარების პირველს საფეხურზე სდგას, მიუხედავად პიესის ზოგიერთ სუსტ მხარეებისა, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ასეთი პიესები ხშირად იდგმებოდეს ხოლმე. სუსტი მხარე პიესისა ხშირად შეიძლება დასჩრდილოს იმ დიდმა სარგებლობამ, რომელიც ორიგინალურ, ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებულ პიესას მოაქვს. ჩვენი მაყურებელი ადვილად მიუხვდება შაქროს სულიერ ტანჯვას, რადგანაც მთელი მისი ფსიხოლოგიური განცდა ქართულ სინამდვილის ნაყოფია, მისი პირმშო შვილია. ადამიანის სული, თუ მას ფილოსოფიის თვალსაზრისით შევხედავთ, ყველგან ერთნაირია. მაგრამ სულიერი ცხოვრება განსაზღვრულ ფორმებში სწარმოებს, განსაზღვრულ ხორციელ გამოსახულებას იღებს. რეალური სინამდვილე ჰქმნის ერთგვარ ფონს, რომელზედაც სული, თავისი არსებით ერთგვარი, განსაკუთრებულ თავისებურ სახეს იღებს. შაქროს სულიერი განცდა, რომელიც განსაზღვრულ, ჩვენი მაყურებლისათვის გასაგებ და ნაცნობ პირობებში სწარმოებს, უფრო მიმზიდველია, ვიდრე სხვა რომელიმე გმირისა. ამიტომ ორიგინალური ავტორი, თუ მას ცოტაოდენი ნიჭი მაინც აქვს შემოქმედებისა, უფრო მოაჯადოვებს მაყურებელს, ვიდრე უცხო ავტორი. ამისთანა ავტორს უფრო მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვს.

პიესაში უმთავრეს ყურადღებას იქცევს შაქროს სულიერი განცდა. მთელ ფსიხოლოგიურ მომენტების გადმოსაცემად საჭირო იყო ნიჭიერი მსახიობი, რომელიც როლს გაიგებდა და მოახერხებდა ამ სულიერ განცდათა გადმოცემას. პიესა ისეთს შთაბეჭდილებას ველარ მოახდენდა, ეს საქმე რომ არ ეკისრა ბ-ნ მესხიშვილს, რომელმაც პირდაპირ გასაოცარის ხელოვნებითა და ნიჭით გააპიროვნა შაქრო. დაკვირვებული თამაშობით, მიმიკით გამოხატა არა მარტო ის, რასაც პიესა პირდაპირ აძლევდა, არამედ ისიც, რაც სტრიქონებს შუა უნდა ამოეკითხა. მშრალ მასალას მან სული ჩაჰბერა და წარმოგვიდგინა რთული მოძრაობა სულისა. დიდი დაკვირვება და ნიჭი იყო საჭირო, რომ შაქრო რეზონერად არ მოსჩვენებოდა მაყურებელს. მაგრამ ბ-ნმა მესხიშვილმა სძლია ეს სიძნელე და ნაცვლად მოლაქლაქე ადამიანისა, მოგვცა ისეთი ადამიანი, რომლის თვითეული სიტყვა, თვითეული მიმოხვრა ნაყოფი იყო გულის სიღრმეში განცდილ ტანჯვისა, მწუხარებისა.

სხვა ამსრულებელნიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. თვითეულს მათგანს ემჩნეოდა მომზადება და, რაც მე პირადად ყველაფერზე ძვირფასად მიმაჩნია, ზომიერება, რომელიც ჰქმნის მხატვრულ შთაბეჭდილებას...

**არ. ჯ—შვილი.**

# სწავლა-აღზრდის საქმე
## პირველ-დაწყებით სკოლებში.

ჩვენს ქვეყანაში არსებული უკუღმართობა არსად ისე ცხადად არაა, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში.

ჩვენებურ სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობას არა თუ არავითარი მოწოდება არა აქვს ისეთ დიდ მოვალეობის აღსასრულებლად, როგორიც ნორჩ თაობის სწავლა-აღზრდაა, პირიქით, მისთვის საჭირო ელემენტალური ცოდნითაც კი არ არის აღჭურვილი, ვინაიდან მიუხედავათ თავის სიდიადისა, დღეს მასწავლებლობა გაადვილდა, საკმაოა რომელიმე ორკლასიან სკოლაში მიიღოთ სწავლა, და მასწავლებლობის ეგზამენი ჩააბაროთ და მორჩა.

ამ გარემოების მიხედვით გაზვიადებულად არ გვეჩვენება ამ ოთხიოდე წლის წინად გამოქვეყნებული სტატისტიკა, სადაც ნაჩვენები იყო, რომ ჩვენში უვარგის მასწავლებელთ რიცხვი ცხრა მეათედია... სწორედ ჯოჯოხეთი წარმოგვიდგება თვალწინ, როდესაც სოფლის მასწავლებელთა განუვითარებლობასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ მთავრობისაგან წაქეზებას ძველი, დახავსებული, მუნჯური მეთოდით საგნების სწავლების შესახებ.

რომ მთავრობის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურონ ჩვენებურ მასწავლებელთა უმრავლესობა ხანდახან ძლიერ აჭარბებს ამ საქმეში და მთავრობის გულის მოსაგებად რუსული ენის გაკვეთილებს ადიდებს და ქართულისას კი შესამჩნევად ამცირებს, და ამრიგად იმ მცირე ადგილსაც კი ართმევს, რომელიც სამოსწავლო მთავრობამ არგუნა.

გადგვარების ნიშნები რომ ჩვენს ხალხს ემჩნევა, უტყუარი ფაქტია, მაგრამ ამ სენმა რომ ხალხის მესვეურთა შორისაც თავის განვითარების უმაღლესს წერტილს მიაღწია, ეს კი სამარცხვინოზე უფრო სამარცხვინოა. იმის მაგივრად, რომ მათ იხსნან ხალხი ასეთ გათახსირებისაგან და ცხოველი მაგალითით უჩვენონ სამშობლოსადმი მხურვალე მამულიშვილური სიყვარული, ისინი სიდუხჭირეში ამავე ხალხს წინ უსწრობენ და გაჩქარებით მიექანებიან საშინელ უფსკრულისაკენ. ქართული ენის უვიცნი მის გაკვეთილებს საშინლად გაურბიან და ქართულად საგნების სწავლება ხომ მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ. თუ კვირაში ერთხელ მაინც მოიგონეს სამშობლო ენის გაკვეთილის მიცემა, მაშინაც ისე დამახინჯებულად ასწავლიან, რომ მისდამი წმინდა სიყვარულის მაგივრად, მოწაფეთ სიძულვილს უღვივებენ გულში.

სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა ღრმად დარწმუნებულია, რომ სამოსწავლო მთავრობას ქართულის შესაფერად სწავლება არა თუ არ ესიამოვნება, პირიქით, მის მოამაგეთ მავნებელ პირებადაც კი სთვლის და ამიტომ ისინი სრულიად არ ზრუნავენ ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას.

ხშირად შეჰხვდებით ჩვენში ისეთ სოფლის მასწავლებელთ, რომელთაც ჩვენი სასიქადულო პოეტების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა გამოჩენილ მწერალთა უმთავრესი თხზულებანი არც უხილავთ და მათი შესწავლის ხალისს ხომ სრულიად მოკლებულნი არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამას საჭიროდ არ სცნობენ თავის მოვალეობის აღსრულებისათვის.

ასეთ ვაჟბატონებს რწმენის სიმბოლოდ მხოლოდ მლიქვნელობა, პირმოთნეობა და მთავრობის წარმომადგენელთა ფეხთა მტვერის ლოკვა დაუსახავს და არა სალი პედაგოგიკის მიხედვით ნორჩ თაობის აღზრდა. აი რა არის მიზეზი, რომ ორიოდე პატიოსანი მუშაკიც ხალხის განათლების ასპარეზზე საშინელ დევნას განიცდის ხალხის ულირს შვილთა მეოხებით წელ-გამაგრებულ ბოროტებისაგან. მიუხედავად ასეთის გულის შემზარავ სურათისა ჩვენი ქვეყნის სწავლა-აღზრდის საქმე ჯერ სავსებით არ დაცემულა და პატიოსან მოღვაწეთა მადლიან ხელის წყალობით ის ისევ ფეხზე დადგება.

ჯერ სიდევ მოეპოვება ამ საქმეს თავდადებულნი მოსარჩლენი, რომელთა სამღვთო მოვალეობას შეადგენს ეცადნენ თავიანთი ამხანაგების გამოფხიზლება-განსპეტაკებასა და მით ხალხს დაუფასებელი სამსახური გაუწიონ.

**Топ.**

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

15 ნოემბერი.

**ტოკიო.** მთავრობამ გამოაცხადა, იაპონიის ჯარის რიცხვი პეკინსა და ჩჟილის პროვინციაში ერთს ბატალიონსა და მსწრაფლ-მსროლელთა რაზმს არ უნდა აღემატებოდესო. გაზეთების სიტყვით, ჯარის გაგზავნა საქმეში ჩარევის სურვილით არ არის გამოწვეული.

**პეკინი.** ქანიანი დიდი ბრძოლის შემდეგ მთავრობის ჯარმა აიღო. ამბობენ, რევოლუციონერები ჩრდილოეთიდან უპირებენ გზის მოჭრასო.

ქანიანის ამლებ ჯარის უფროსს ფინგოჩჟუანს პირველ ხარისხის ბარონობა უბოძეს. ყველა მონაწილეთ დაასაჩუქრებენ. უჩანის რევოლუციონერები მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ.

**შანხაი.** ხმა დაეარდა, 14 ნოემბერს რევოლუციონერებმა ნანკინი აიღესო. გენერალ-გუბერნატორის სასახლე, ჩჟანის სახლი და რკინის გზა მთლად დაანგრიეს. ამბობენ, გენერალ-გუბერნატორმა თავი მოიკლაო. ეს ამბავი ჯერ არ დადასტურებულა.

**გაზეთებიდან.**

**პეტერბურგი.**

აქ ამბავი მოვიდა, ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს ევროპის სახელმწიფოებს სთხოვოს, რევოლუციასთან ბრძოლაში დამეხმარეთ და ყოველგვარ უპირატესობას მოგანიჭებთო.

**პარიზი.**

პეკინიდან იუწყებიან, უცხო სახელმწიფოთა ელჩები ჩინეთის რევოლუციაში ჩარევის წინააღმდეგნი არიან.

შანხაიდან იუწყებიან, სამხრეთის თოთხმეტ პროვინციათა წარმომადგენელნი შეიკრიბნენო. უმეტესობა დელეგატებისა ფედერალისტები არიან.

**ანარქია.**

„რუსკოე სლოვოს" თიანძინიდან ატყობინებენ: შეუძლებელია ეხლა გამოარკვიოთ ჩინეთის სახელმწიფოების მართვა-გამგეობის ფორმა. თუმცა რეგენტმა კონსტიტუცია გამოაცხადა, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში მაინც ის უდგას. ჯერ ახალ მთავრობას ფეხი მაგრად ვერსად მოუკიდნია, ამიტომ სხვა და სხვა პროვინციაში ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა.

კისიანგში ამისთანა ბრბო, ხუთას კაცისაგან შემდგარ რაზმს შეებრძოლა და 7 კაციც დაჰკარგა. 15 ჯარისკაცი მოჰკლეს, 20 ტყვედ წაიყვანეს. საშინელი წამების შემდეგ ბრბომ ტყვეები გაატყავა და ხეებზე ჩამოჰკიდა მათი ტყავი.

ერთს დიდ სოფელში მამასახლისს შეუცვივდნენ. ფული მოსთხოვეს და როცა უარი უთხრა, ზურგიდან საქამრედ ტყავი ააძრეს. ფულის წართმევის მერე, ყაჩაღებმა მოჰკლეს მამასახლისი. მისმა ცოლმა თავი ჩამოიხრჩო, შვილი—ჭკუაზე შეიშალა.

ჯარისკაცნი პატარა რაზმებად სიარულს ვერა ჰბედავენ. ხმა ვრცელდება, ევროპიელები ჩაერევიან საქმეშიო. პალატა და პრესა უცხოელებს აფრთხილებს, საქმეში ნუ ჩაერევითო.

გაპოჩენილი რევოლუციონერი ში სწერს, ჩინელნი—არც ინდუსები არიან, არც პოლონელნიო. დაე, ევროპიელებმა იცოდნენ, რომ ჩინეთში ოთხასი მილიონი მცხოვრებიაო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

15 ნოემბერი.

**რომი.** 13 ნოემბერს ტრიპოლში იტალიელებს 120 კაცი დაუჭრეს და დაუხოცეს. 14 ნოემბერს მოწინავე პოზიციებზე რამდენიმე შეტაკება მოხდა. მფრინავთა სიტყვით, აინსარიდან ტარხონისაკენ 20 ათას კაცისაგან შემდგარი მტრის ორი რაზმი წასულა. დერნაში მოწინავე პოზიციაზე მდგომთ 13 ნოემბერს სროლა ჰქონდათ. ოსმალთაგან გავრცელებული ამბავი, ვითომც დერნაში 11 ნოემბერს დიდი ბრძოლა ყოფილიყოს და იტალიელები ძალიან დაზარალებულიყვნენ, ტყუილია.

**გაზეთებიდან.**

**დარდანელის საკითხი.**

„ცაიტი" სწერს, ავსტრიის, როგორც რუსეთს, იტალიამ დარდანელის გარემოცვის სურვილი აცნობა. ბერლინის პრესაში გავრცელდა ამბავი, რუსეთსა და ავსტრიას მოლაპარაკება აქვთ და შეიძლება იტალიას დარდანელის გარემოცვის ნება დართონო. ავსტრია, თურმე, დიდი წინააღმდეგია ამისა და ამბობს, თუ ასე მოხდა, საქმეში ჩავერევიო. „ფრანკ. ცაიტ," კი იუწყება, იტალია ეგეის ზღვისა და დარდანელის გარემოცვასაო.

**რომი.**

გენერალმა კანევამ მთავრობისაგან საყვედური მიიღო, ფიცხლად ვერა ჰმოქმედობო. კანევამ ბრძანება მიიღო, რასაც კი გემთა არტილერია მისწვდება, ის პოზიციები სასწრაფოდ აიღეო.

# სპარსეთის არეულობა

დეპეშები

15 ნოემბერი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გრეის მეორე სიტყვა სპარსეთს ეხებოდა. მან განაცხადა: ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიზანი იყო, ის ჩუმი მტრობა და ქიშპობა მოესპო, რაიცა სპარსეთში რუსეთსა და ინგლისს შორის იყოვო. ორივე მხარე სცდილობდა, რაიც შეიძლება „მტრის" დაზარალებას და თავის სარგებლობას. შეთანხმებამ ყველა ეს მოსპო. შეთანხმების ერთი მუხლთაგანი ამბობს, ინგლისმა ჩრდილო სპარსეთში თავისი ინტერესები უარჰყოსო. სპარსეთის მთავრობამ ეხლა ხან ფინანსების მოსაგვარებლად ნიჭიერი ადამიანი, ამერიკელი შუსტერი, მოიწვია. შუსტერმა ყურადღება არ მიაქცია საპოლიტიკო მდგომარეობასა და რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულებასა, მან ჟანდარმერიის უფროსობა და ხაზინის კონტროლი სტოკსს ჩააბარა. შემდეგ შუსტერმა სპარსეთის სამს ქალაქში მოხელეებად ინგლისელნი დანიშნა. სტოქსი არა ჰმალავდა რუსებისადმი სიძულვილს. როცა ინგლისელთა მოხელეებად განწესება გავიგე, თეირანის ელჩს ვაცნობე, ეგ საქმე რუსეთის წინააღმდეგობას გამოიწვევს და ეს გარემოება შუსტერს აცნობე მეთქი. ინგლისი, რასაკვირველია, მხარს არ დაუჭერს ისეთ მოქმედებას, რომელიც თითონვე უარჰყო. შუსტერმა ეს ვერ შეიგნო. რუსეთმა თავისი მოთხოვნილება წარუდგინა. პასუხისთვის დანიშნული ვადა გავიდა. რუსეთის ჯარი სპარსეთს წავიდა. შუსტერმა რუსეთის მთავრობის შესახებ ცილისწამება გაავრცელა. სპარსეთის დამოუკიდებლობისათვის რუსეთისა და ინგლისის ინტერესების დაცვაა საჭირო. სპარსეთმა შაჰი განდევნა, რუსეთს მისი შვილის გულისათვის თითიც არ გაუნძრევია. სპარსელებს რუსებისთვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ სახელმწიფოს ახალი წესწყობილება რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ეს ვერ მოახერხა და რუსებისადმი ურთიერთობა ძალიან გამწვავდა.

ეხლა სპარსეთის საქმე ძალიან ცუდად არის. მაგრამ რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულებამდე როგორი იყო? იმედია, სპარსეთის მთავრობა რუსების მტრებს მოხელეებად აღარ დანიშნავს და რუსეთს დაუმტკიცებს, რომ კონსტიტუციური სპარსეთი არ ეცდება რუსეთის შევიწროებას და არ უარჰყოფს ჩრდილო სპარსეთში მის ინტერესების არსებობასაო, დაამთავრა გრეიმ.

---

ლევს. თუ მაროკოში რაიმე არეულობა მოხდა, საფრანგეთს უფლება აქვს საჭირო განკარგულებანიც გამოსცეს. მასვე ენიჭება ოკუპაციისა და ხმელეთსა და ზღვაზე პოლიციის ზედამხედველობის განხორციელების უფლება. გერმანია ხელს არ შეუშლის, თუ მაროკოს ხონთქარი საფრანგეთის სადიპლომატიო აგენტებს მიანდობს მაროკოს დაცვას და მოინდომებს, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას საფრანგეთმა შუამავლობა იკისროს. ბუნების სიმდიდრეთა დამუშავების საქმე მაროკოს თანხმობით გაიცემის. მაგრამ ამ საქმეში სწორუფლებიანობა უნდა დაიცვან. უცხოელთა მიერ შეძენილი უფლება მებადურობისა ხელუხლებლად რჩება. ნავთ-სადგური საჭიროებისამებრ გაიხსნება.

ყველა ამ უფლების ნაცვლად, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საფრანგეთმა შუა აფრიკაში თავისი მიწა-წყალი დაუთმო. მან რამდენიმე ნაჭერი გადასცა გერმანიას კონგოში. ხელშეკრულება ამბობს: გერმანიას საფრანგეთმა ახალშენ კამერუნის სიგრძეზე ძვირფასი მიწა-წყალი უნდა მისცეს. ამას გარდა, გერმანიამ მიიღო ორი ნაჭერი მიწა კონგოსა და უგანდამდე. გერმანია კი სამაგიეროდ დუსთმობს პატარა მამულს ლოგონსა და ხარს შუა, ჩადის ტბამდე.

სულ თუ ვიანგარიშებთ, გერმანიამ თექვმეტი ათასი ოთხ-კუთხი კილომეტრი მიწა დასთმო და მაგიერად ოცდა ათი ათასი მიიღო. ერთის შეხედვით, თითქმის გერმანიაა მოგებული. მაგრამ საქმე ასე როდია.

თუმცა ორივე მხარე უკმაყოფილოა დადებულ ხელშეკრულებისა, თუმცა ორივე მხარე გულში თავს დამარცხებულად სთვლის, მაგრამ მოგებაში მაინც საფრანგეთია. აი როგორ.

მაროკო თუმცა „დამოუკიდებელია", მაგრამ უკვე ძლიერი პროტექტორატი დაუწესეს. თუ მაროკოს მდგომარეობას ჩაუკვირდებით საქართველოს მდგომარეობა მოგაგონდებათ, იმ საქართველოსი, როცა სპარსეთი და ოსმალეთი მისი დაპყრობისთვის ერთმანეთს თავპირს ამტვრევდნენ და ხან ერთს ეკუთვნოდა პროტექტორატი, ხან—მეორესა. საფრანგეთს კი, როგორც ვთქვით, აფრიკის ჩრდილოეთზე დიდი ხანია თვალი ეჭირა. ეს „პროტექტორატი" მოგეხსენებათ, ძალიან სახიფათო რამ არის. ჩვენი ისტორიაც ხომ ამტკიცებს ამასა...

აი, ასეთია ხელშეკრულება. გერმანიაში ძალიან უკმაყოფილონი არიან და მიწის რაოდენობა ვერ ანუგეშებთ. ისინი მეტს მოელოდნენ და ამიტომ გაიძახიან: კონგოში ბუნების პირობები საშინელია. რას ვაქნევთ დიდ მიწა-წყალს, რისთვისაც აუარებელი ფულის დახარჯვაა საჭირო; რისთვის გამოგვადგება მამული, რომლის ორი მესამედი ჭაობით არის სავსეო. ამიტომ გასაკვირველი არ იყო, თუ რეიხსტაგმა არ მოიწონა, დაჰგმო მთავრობის მოქმედება მაროკოს მოლაპარაკების დროისა. როცა მაროკოს თაობაზე კანცლერმა თავისი განმარტება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: ქებას არ ველით, მაგრამ არც დაგმობისა და საყვედურისა გვეშინიანო, პასუხად სამარისებური სიჩუმე მიიღო და თითქმის თავი თვითვე გაამათრახა. უკმაყოფილება ისეთი დიდი იყო, „დამარცხება" იმდენად საგრძნობი, რომ საახალშენო სამინისტროს გამგე ლინდეკვისტი სამსახურიდან გადადგა. მან მიზეზად დაასახელა: გერმანიამ საზარალო ხელშეკრულება დასდო და მის პასუხის მგებლობას ვერ ვიკისრებო. გერმანიის პრესა ვაჟკაცურ საქციელს უწონებს და დასძენს, ეტყობა მოხელეებმაც შეიგნეს მოვალეობა და ბრმა იარაღად ველარ გამოიყენებენო. წინად ასეთი შემთხვევა, მოხელისაგან ასეთი გაბედული პროტესტის განცხადება, შეუძლებელი იყო. ერთხელ ბისმარკს ერთმა მოხელემ საქმის მოხსენება წარუდგინა და თანაც დასძინა თურმე, მის დედააზრს არ ვეთანხმებიო:—შეგიძლიანთ, დამშვიდდეთ, თავს ნუ იწუხებთ, ეგ თქვენ არ შეგეხებათო, უპასუხა მკაცრად ბისმარკმა. ლინდეკვისტმა კი ეტიკეტი დაარღვია და თავის აზრს არ უღალატა, რადგან მოლაპარაკების მსვლელობა თავიდანვე არ მოსწონდა.

უფრო კმაყოფილია საფრანგეთი. ხელშეკრულებას პრესა გახარებულად შეხვდა. თუმცა საკუთარი მიწა-წყალის დათმობა მოუხდა, მაგრამ დიდად არა სწუხს, ვინაიდან ძვირფასად არ მიაჩნია იგი.

აი, რას ამბობს პარიზის დეპუტატი შარლ ლებუკი „კონგოს კომპენსაციაში": „ყველა კარგად მიხვდება, რა გულის ტკივილს უნდა ჰგრძნობდეს ფრანგი, როდესაც მყუდროებისა და მშვიდობიანობის დროს იძულებულია სხვას დაუთმოს უშვენიერესი მიწა-წყალი, გმირულის თავგანწირვითა და შრომით მოპოებული. საკვირველი თავდაჭერილობა გამოიჩინა საფრანგეთმა, დიდი მოთმინება აღმოაჩნდა მას. ყველა ხალხს არ შეუძლიან ამისთანა თვისებათა გამოჩენა... მაგრამ რაც მოხდა-მოხდა. რაკი საფრანგეთმა ფიცი დასდო, არც გასტეხსო".

მაგრამ მთავრობა უფრო გაბედულად ლაპარაკობს. ამას წინად საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ჩრდილოეთ აფრიკას „მეორე საფრანგეთი" უწოდა. „ამ მეორე საფრანგეთს ჩვენ დიპლომატიის საშუალებით მოუპოვეთ მკვიდრი საზღვარი და ისე გავიმარჯვეთ, როგორადაც დიდი ხანია არ გაგვიმარჯვნიაო. მოლაპარაკების დროს შიშსა და ძრწოლაში კი არა ვყოფილვართ—ვღელავდით, ვღელავდით, როგორც ჰღელავს ყოველი ჯანსაღი ადამიანი. ჩრდილოეთ აფრიკას ეხლა მძლავრად ჩავჭიდეთ ხელი. ეს მარტო მთავრობის განმამტკიცებელი კი არა, სამშობლოს ძლიერების ნიშანიცააო".

ამნაირად მაროკოს საკითხი გადასწყდა. ხელშეკრულების მართებულობა აღიარა ყველა სახელმწიფომ. აღიარა იგი ბედკრულმა მსხვერპლმა „პროტექტორატისამ"—მაროკომაც. მაგრამ საქმე მაინც არ გათავებულა. მაროკოს თაობაზე საფრანგეთსა ეხლა ესპანია წამოედავა. მართალი უთქვამს ჩვენ ხალხს: „უპატრონო ტაძარს ეშმაკები დაეპატრონენო". თურმე 1904 წელს ესპანიასა და საფრანგეთს საიდუმლო ხელშეკრულება დაუდევთ და მაროკოში თავ-თავიანთი გავლენის სფერო შემოუფარგლავთ. ამ ხელშეკრულებისა აქამდე არავინ არაფერი იცოდა და მხოლოდ ახლა გამოაქვეყნეს. ხელშეკრულება დაუდვიათ აგრეთვე 1905 წელს, ამნაირისავე შინაარსისა—იმ ხელშეკრულობით ესპანიას ნება ეძლევა, თუ რაიმე მნიშვნელოვანი არეულობა მოხდა მაროკოში და მთავრობამ წესიერების აღდგენა ვერ მოახერხა, თავისი ჯარი კაჰგზავნოს და „გავლენის" უფლება დაიცვას. საფრანგეთმა ოთხს თვეს უთოფისწამლოდ იომა, იბრძოლა და გერმანიას მაროკოში ყოველგვარ ინტერესებზე ხელი აეღებინა. ესპანიის მონაწილეობა არ მიუღია ამ ბრძოლაში და მისი ნაყოფიც კი ჰნებავს იგემოს. ამას გულგრილად ვერ შეჰხვდება საფრანგეთი და უეჭველია, ესპანია დასთმობს რასმე.

ასეთია ბედი ერთ-ერთ უძლურთაგანისა: იგი სხვათა სათამაშო ბურთად იქცა. მაგრამ საქმე ჯერ სრულიად არ გათავებულა, როგორც ჰხედავთ, და ამიტომ ამოვწერთ იმავე პარიზის დეპუტატის შარლ ლებუკის სიტყვებს:

ხელშეკრულება, ბ-ნთ კამბონისა და კიდერლენ-ვეხტერის მიერ დადებული, მით არის სახიფათო, საფუძველი აქვს ისეთი, რაიც შემდეგ საქმის გართულებას გამოიწვევს... უთანხმოების შიში, ევროპის შემაძრწუნებელი და გერმანიის მოქმედებით გამოწვეული, ამ **უკანონო შვილის** (ხელშეკრულების) დამტკიცებით ვერ ისპობა. საერთოდ, საფრანგეთი არაფერსა ჰკარგავს, მაგრამ მან ასეთი გულკეთილობა აღარ უნდა გამოიჩინოს იმისთანა მოლაპარაკებაში, რაიცა მის სახელს ეხებაო".

**ქ. რ.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ნოემბერი.

## საზღვარ გარეთ.

**პარიზი** ჟურნალ რატმილდი გარდაიცვალა, პალატამ სამხედრო ხარჯთაღრიცხვა განიხილა.

**რიო-დე-ჟანეირო.** პერნამბუკოში აჯანყებაა. ქალაქიდან ბევრი გარბის. ქალაქში უთვალავ გვარი მოძრაობა შესწყდა. ქუჩებში სანგრები ამართეს. ფედერალის ჯარი ხელისუფლების იცავს. სამი პოლიციელი მოჰკლეს.

**ლონდონი.** ლორდ გრეის თანხმობა განცხადა. მისი სიტყვით, ინგლისსა ჭკუის გერმანიასთან უთვალავი გვარი უთანხმოება მოსპონ. ასკვითმა განაცხადა, ინგლისი თავის ინტერესებს დაიცავს და ხელშეკრულებებსაც თავის დღეში არ დაარღვევს. ჩვენი უმთავრესი მიზანი მშვიდობიანობის დაცვაა.

**ბერლინი.** მთავრობის ცნობით, აკადირში სრული მშვიდობიანობაა. კრეისერი „ბერლინი" 15 ნოემბერს აკადირიდან გამოვიდა.

**მადრიდი.** რადგან მთავრობის მოქმედება სტუდენტებში უკმაყოფილებას იწვევს, მათ მთელს ესპანიაში გაფიცვა გამოაცხადეს.

**ლისაბონი.** ქალაქში მშვიდობიანობაა. სენატმა და პალატამ მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა.

**პარიზი.** სენატი. სამხედრო სასამართლოს საპარლამენტო ჯგუფი გუნკოვს მიეგება. რუსეთ-საფრანგეთის კავშირის თაობაზე წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ. გუჩკოვი დიდის ამბით საბჭოს (?) სხდომაზე მიიწვიეს. ტაქსომოტორთა გაფიცვაა. გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისიამ გადასწყვიტა საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება დაამტკიცოს.

**ბუქარესტი.** პარლამენტის გახსნისას მეფემ სიტყვა-სიტყვა წაიკითხა. სთქვა, რუმინიას თამამად შეუძლიან მომავალს თვალი გაუსწოროს, რადგან უცხოეთთან კარგი განწყობილება აქვსო. ქვეყნის მდგომარეობა ისეთია, რომ ყოველთვის შეგვიძლიან ჯარს თავი მოვუყაროთ, რაც უკანასკნელმა ადლუმმა დაამტკიცა.

## რ უ ს ე თ ი.

**ნიკოლაევი.** ზღვა ჭედავს ამის გამო ოდესასთან მისვლა-მოსვლა შესწყდა. ტელეგრაფიც გაფუჭებულია.

**ლოვჩი.** ლუბინეც-ბარანოვსკის სადგურს სამარგო მატარებელი დაინტა გადასცდა. ორი კონდუქტორი დაშავდა, 13 ვაგონი დაიმსხვრა.

**კალეი.** ბუკოვნი სადგურზე, სამარგო მატარებელი მეორე მატარებელს დაეჯახა. ოთხი მუშა მძიმედ დაიჭრა, 23 მსუბუქად. სამი ვაგონი დაიმსხვრა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრის შვარცის თავმჯდომარეობით განსაკუთრებულმა კომისიამ მიიღო საბჭოს კანონ-პროექტი, ცოტაოდენის ცვლილებით. ცვლილება ისაა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ეხლა მყოფ ქალებს და იმათაც, ვისაც ამ კანონის გამოსვლამდე საშუალო სასწავლებელი გაუთავებიათ, ნება აქვთ გამომცდელთა კომისიას არ წარუდგინონ იმ დამატებითი საგანთა ცოდნის მოწმობა, რასაც სავაჟო გიმნაზიაში სწავლობენ.

# რუსეთი

**მოსკოვის უნივერსიტეტი.** პირველ ნოემბრამდე მოსკოვის უნივერსიტეტში სულ 9954 სტუდენტი იყო, ე. ი. გასულ წლის რიცხვზე თითქმის ათასით ნაკლები. ეს აიხსნება იმით, რომ ბევრი სტუდენტი უნივერსიტეტიდან სამხედრო სამსახურში შესასვლელად გამოვიდა, ზოგი (ორას კაცამდე) დაითხოვეს, რადგან უნივერსიტეტში ყოფნის ვადა გაუვიდათ. ამას უნდა დაუმატოთ გაზაფხულზე მინისტრის განკარგულებით 400 სტუდენტის დათხოვნა. ამ ოთხასში მხოლოდ 160 მიიღეს უკან. გარდა ამისა, ბევრმა სტუდენტმა გათავების მოწმობა აიღო და განზრახვა აქვს ეგზამენი დაიჭიროს გამომცდელთა კომისიაში. („რუს. ვედ.").

**ებრაელთა განცხადება.** გაზ. „რეჩ"-ში იბეჭდება ებრაელთა რვაას ხახამის ხელმოწერილი განცხადება, რითაც ისინი უარჰყოფენ ებრაელებში ისეთს სექტის არსებობას, რომელსაც ქრისტიანთა სისხლის ხმარება აქვთ მიზნად. ამისდა-მიხედვით ისინი პროტესტს აცხადებენ იმ ბრალდების წინააღმდეგ, რასაც ებრაელებს სწამებენ. („რ.").

**ხაზინისათვის ანდერძი.** კიშინიოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბალახმა „ბესარაბიის ცხოვრებაში" წერილი დაჰბეჭდა. იგი აცხადებს: მოვალე ვარ ბ-ნ პურიშკევიჩს ფსიხიატორთა საავადმყოფოში ერთი საწოლი დაუთმო სამუდამოდ სარგებლობისათვისაო. („რ.").

**ისპრავნიკი ბოგდაშევსკი.** ელისავეტგრადიდან „რუსკოე სლოვოს" ატყობინებენ: 1908 წელს, როდესაც აქეთ მოძრაობა იყო, ალექსანდრეს მაზრის სოფელ მიტროფანოვკაში დააპატიმრეს 46 გლეხი, რომელნიც პოლიტიკურად კეთილსაიმედოდ არ მიაჩნდათ. დაპატიმრებულნი კანცელარიაში იმ დროს მიიყვანეს, როცა ისპრავნიკი ბოგდაშევსკი არ იყო; ჩვენება ჩამოართვეს იქ მსახურთა და გლეხები ციხეში გაჰგზავნეს. ბოგდაშევსკიმ შემდეგ ოქმს ხელი მოაწერა და გუბერნატორს წარუდგინა. თანაც გლეხთა გადასახლება მოსთხოვა.

გამოირკვა გლეხთა სრული უდანაშაულობა და ერთის თვის ციხეში ჯდომის შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს. ბოგდაშევსკი უყურადღებობისა და სიყალბის ჩადენისათვის სამართალში მისცეს. პალატამ სიყალბის ჩადენის ბრალდება უარჰყო და მხოლოდ საყვედურის გამოცხადება გადააწყვიტა ბოგდაშევსკისა.

**აზეფი.** „ბერლინერ ტაგებლატს" პეტერბურგის კორესპონდენტი სწერს: აზეფი რუსეთის დამცველ პოლიციას ერთდროულად საჩუქრად 200 ათასს მანეთს სთხოვდა. დამცველმა პოლიციამ უარი უთხრა და მოსთხოვა კიდეც პეტერბურგიდან წასულიყო სადმე. აზეფი პარიზს წავიდა, სადაც რევოლუციონერებისაგან გასამართლება მოელის. („მოსკ. ვედ.").

**მოსწავლეთა შორის.** ორენბურგის სავაჟო გიმნაზიაში მოწაფეთა შორის აღელვება და მოძრაობაა. ისინი ფისტონებს ისვრიან, მასწავლებლებს თუთუნს აყრიან თავზე და ერთს მასწავლებელს კი პირდაპირ გამოუცხადეს, თავი დაანებე მასწავლებლობას, გეყოთ რაც შეურაცხჰყავით და დაამცირეთ მოწაფეთა პიროვნება 25 წლის სამსახურის დროსაო. ამის გამო, მასწავლებლები გაკვეთილებზე მარტონი ვერ მიდიან: გაკვეთილს ესწრობა ინსპექტორი, ზედამხედველი და ადმინისტრაცია.

# თეატრი და ხელოვნება

მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ ორშაბათს, 21 ნოემბერს, არტისტიულ თეატრში გარდახდილ იქნება სომეხ მსახიობ ქალის ზაბელის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", რომლის შემდეგაც გაიმართება საიუბილეო მილოცვა.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი:

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ილია წერეთლისაგან კოკანდში შეგროვილი 53 მანეთი ილია ჭავჭავაძის ძეგლისათვის. სია შემომწირველთა: ექიმმა გ. მ—ნმა, ილია გოჯაძემ და პავლე ცივცივაძემ—ხუთ-ხუთი მანეთი; სამ-სამი მანეთი შემოსწირეს: ექიმმა ქაჩხოევმა, ალ. გეგელიამ, პარსეღ სულთანიშვილმა, დავით ქანტურიამ და გოგლიძემ; ორ-ორი მანეთი: არსენ გოგლიძემ, პეტრე ტარასოვმა და დავით ფურცელაძემ; თითო მანეთი: გიგო გრძელიშვილმა, ბუფეტჩიკმა ნასრაძემ, იგორ მიკირტუმოვმა, სოლომონ ნასრაძემ და სიმონ მენაბდემ; მანეთ ნახევარი —მელიტონ შავდიამ; ათ-ათი შაური: იოსებ სეფისკვერაძემ, ლუკა დანელიამ, აბრამ ბალიაშვილმა, ოქროპირ გაგნიძემ, ზურაბ ნადარეიშვილმა, მღვდელაძემ, სამსონ დარჯანიამ, რაჟდენ შავდიამ, ვასილ ფირცხალაშვილმა და სოფრომ ბაციკაძემ; 30 კაპ. კონსტანტინე ფანაკაძემ; ილია წერეთელმა 5 მ. 20 კ.

წ. კ. საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

საზოგადოების მდივანი გ. ზურჭულაძე.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)** (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავ. მატარებ. № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატარ. N 5. I—III კლას. საღ, 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) სატოვარო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) სამგზ. მატარ. № 6, I—II კლ. ღღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) სატოვარო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) შერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) სატოვარო მატ. N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. სატოვარ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) სატოვარო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** სატოვარო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-საქონლ. N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა.
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუდრიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმაცი: 12 ნახ. —1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინი დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—184)

## მ. ი. ქსენძაცკი

დაბრუნდა და ხელახლად იღებს საქმეებს

## ფორტეპიანოებს

შეკეთებისა და მომართვისას.

ადრესი: ნიკოლოზის პროსპ., 118, ვეტერინ. სახ. პირდაპირ. პირადად ნახვა შეიძლება შუადღ. 1—2 ს. (5.934.3)

## მუხრანის კარძო სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს. დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ოსხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ. რიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაყვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელკონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

კბ8 ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. მიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—174

## ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—87)

## გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებ მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის სახელზე. ყველა კლასის წინასწარის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памятн. Воронцову), спросить учителя. (т. 1084.22)

## ძმ. ავსარქისოვების სავაჭრო

**ჰყიდის ხილის ნერგებს:** უცხოეთისას, რუსულსა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას—ხელსაყრელ ფასებში.

კატალოგები უფასოდ.

ადრესი: სადგ. ხკრა (ამიერ-კავკას. რკ. გზა), ავსარქისოვს. (11.1569.8)

## იჯარად. ქ. ა. ე. საზ. ოპტიკი-სპეციალისტი



## გ. გორინგი

არსებობს 1873 წლიდან

გოლოვინის პროსპ., საზ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისა,

**სპეციალისტი:** ოკულისტ. (თვალის) ოპტიკასა და საქმის ყოველ მხრივი შესწავლა საზღვარ გარედ—ნებას გვაძლევს კეთილსინიდისიერად ვამზადოთ რეცეპტები სათვალეებისა და პენსნე სატარებლად, საკუთარ სახელოსნოდან



**ნაცადი ტერმომეტრები, ბარომეტრები, გიგრომეტრები და სხვა.**

**ბინოკლები:** თეატრსა, მინდორსა, ზღვასა და სხვაგან სახმარებლად, საზღვარ-გარეთის საუკეთესო სისტემისა. ფასები ხელმისაწვდომია და შეუდარებლად, რაშიაც, გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ.

მისამართი. გ. გორინგი—ტფილისი. (4—1579—4)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა

## სამშობიარო თავშესაფარი
## მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრ ს ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორ-მედიცინისა. (25—913—12) ი. გ. კალამკაროვი.

## აგენტურა
## მ. ა. გაჩეჩილაძისა

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატაშტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტებთან ლ. ე მეტეველისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანოხისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

## გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა" | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. | ფ. 85 კ. |
| Bâto n-ისა: | „ერი და კაცობრიობა" | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

## საბანკო სახლი ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.
## კავკასიის სააგენტო

ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 65, ტელეფონი № 1177.

**ჰყიდის მომგებიან ბილეთებს**

სახელმწიფო სესხ. ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

**აზღვევს მომგებიან ბილეთებს** ტირაჟში გამოსვლისაგან იაფად.

**პროსპექტები** პირველ მოთხოვნილებასთანავე **უფასოდ.** (15.1555.11)

## ღვინით მოვაჭრე ამხ. „კომეტა"

ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.

მიიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების ღვინო, ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. (20.1560 6)



## საათების საწყობი
## იულიუს გენე
## Юлiусъ Гене

სასახლის ქ. თავად-აზნაურთა სახლი.

აურაცხელი რიცხვი საათებისა ოქროსი, ვერცხლისა და ფოლადისა, საათები შვეიცარიის ქარხნებისა: ზენიტი, ლონჟინი, ომეგა მოზერის შვილი და ამხ. და სხვანი.

მუდმივ მოგვეპოვება აურაცხელი კედლისა და დასადგმელი საათები, ბუდილნიკები, ძეწკვები ოქროსი, ვერცხლისა, ფოლადისა და ოქრო-გადაკრული.

**საათების შესაკეთებლად საკუთარი სახელოსნო გვაქვს.**

**ფასები ზომიერზე ზომიერია.**

(12—1550—8)

